სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორების („ა“ კატეგორია-2 საშტატო ერთეული, „გ“ კატეგორია-2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის N 128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის N 67/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

**№ 6 ოქმი**

**ქ. თბილისი, 27 სექტემბერი 2024 წ.**
**13:00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია № 022**

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი:

1. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მიხეილ ბახტაძე - თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ბონდო კუპატაძე - თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ქეთევან ნადირაძე - თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი).

**დღის წესრიგი:**

1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის დადგენილების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

**მოისმინეს:**

1. კომისიისა და სხდომის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჯავახიშვილის განცხადება, სადაც მან აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ვინაიდან ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე (ის 8-10 ივლისს ორგანიზებას უკეთებდა თსუ-ში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას), ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება საკონკურსო კომისიის მუშაობის იმ ეტაპებზე, როდესაც მოხდა კონკურსანტთა საბუთების განხილვა-შეფასება და მათთან გასაუბრება.
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ბახტაძის ინფორმაცია აკადემიური საბჭოს სხდომის და მასზე მიღებული დადგენილების შესახებ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აკადემიურმა საბჭომ კონკურსანტ ქეთევან ქუთათელაძის საჩივრის 16-დან 15 პუნქტში გაიზიარა საკონკურსო კომისიის პოზიცია. მხოლოდ ბოლო პუნქტში, რომელიც ეხებოდა გასაუბრების ვიდეოჩანაწერის მომზადებას, გამოთქვა შენიშვნა.

**დაადგინეს:**

კომისიის წევრებმა მიხეილ ბახტაძემ, ქეთევან ნადირაძემ და ბონდო კუპატაძემ იმსჯელეს აკადემიური საბჭოს დადგენილებაზე და დაადასტურეს, რომ საკუთარი გადაწყვეტილებები კონკურსანტებთან დაკავშირებით მიიღეს არა გასაუბრებების ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით, არამედ უშუალოდ გასაუბრებისას ან მისი დასრულების შემდეგ. ამიტომ, ნათია ფიფიას გასაუბრების ვიდეოჩანაწერის არსებობა-არასებობის საკითხი გავლენას ვერ მოახდენდა მათ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, გასაუბრების ჩაწერა ხდებოდა კონკურსანტთა მოთხოვნით და ტექნიკურად უზრუნველყოფდა თსუ სათანადო სამსახური. კომისიის კომპეტენცია არ იყო ტექნიკური უზრუნველყოფა და ვერც პასუხს აგებს ტექნიკური სახის ხარვეზებზე. ნათია ფიფიას გასაუბრების ჩანაწერი რომ არ არსებობდა ეს ცნობილი გახდა მხოლოდ მასშემდეგ რაც მუშაობა დაიწყო სააპელაციო კომისიამ და საკონკურსო კომისიას თავისი გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისიის წევრები არ ეთანხმებიან იურიდიული სამსახურის უფროსის არჩილ კუკულავას დასკვნას, რომ კომისიას „ვინაიდან გასაუბრების ჩანაწერები არასრულყოფილად გაკეთდა (კონკურსში გამარჯვებული პირის გასაუბრების ჩანაწერი არ არსებობს), სახეზეა ადმინისტრაციული წარმოების მასალების (გადაწყვეტილების საფუძვლების ნაწილი) ნაკლოვანება, რაც ასევე კონკურსანტებს აყენებს არათანაბარ პირობებში. შესაბამისად, შესაძლოა

დარღვეული იყოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე დროს, კონკურსის წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,,, წინამდებარე წესის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ", რისი სრულფასოვანი საშუალება ამ შემთხვევაში საკონკურსო კომისიას ვერ მიეცემოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალის არასრულყოფილების გამო".

კომისიის წევრებს ჰქონდათ სრული მასალა კონკურსანტებზე და ყველა კონკურსანტი იყო თანაბარ პირობებში, რადგან გადაწყვეტილება მიღებული იყო გასაუბრების ვიდეოჩანაწერების გარეშე, კონკურსანტების უშუალოდ მოსმენის შემდეგ. კომისიის წევრებს გადაწყვეტილების მისაღებად არ სჭირდებოდათ ვიდეოგადაღებათა განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე: /ასოც. პროფ. ნ. ჯავახიშვილი/

კომისიის მდივანი: /ასოც. პროფ. ბ. კუპატაძე/

თარიღი: 27. 09. 2024